

გიორგი დავითაშვილის არქივი

გიორგი დავითაშვილი დაიბადა ქ. ბათუმში 1893 წ. ქ. ბათუმში და აქვე დაამთავრა გიმნაზია. თეატრით იგი ბავშვობიდან იყო გატაცებული, ოჯახში კი დიდი წინააღმდეგობა შეხვდა; ორი წელი დასჭირდა, რომ მშობლებს სათეატრო სკოლაში შესვლის ნებართვა მიეცათ. ისი დამხმარე აღმოჩნდა ცნობილი ანტრეპრენიორი კრასოვი, რომელიც დაეხმარა ახალგაზრდას პეტერბურგის ერთ-ერთ საუკეთესო კერძო სათეატრო კერძო სასწავლებელში-პეტროვსკის სასცენო ხელოვნების სკოლაში მოხვედრაში. 1915 წ. დავითაშვილმა დაამთავრა ეს სასწავლებელი და მსახიობად შევიდა კრასოვის თეატრში ქ. ტაგანროგში, სადაც ერთი სეზონი იმუშავა, შემდეგ-1916-1917 წ. წ. ის კავკაეში მუშაობდა, ხოლო 1917-1918 წ. წ. სეზონში ორიოლში. ბათუმში დავითაშვილი 1918 წ. დაბრუნდა და იქ რუსულ თეატრში იმუშავა ორი წელი. 1919-1920 წ. წ. თბილისის რუსულ თეატრშია, ცნობილ “ტარტოს” დასში, რომელსაც ალექსანდრე ტუგანოვი ხელმძღვანელობდა. “ტარტო”-ში შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია რასკოლნიკოვის როლი დოსტოევსკის “დანაშაული და სასჯელის” ინსცენირებაში, გლეხოვცევის-ანდრეევის დრამაში “ დღენი ჩვენი ცხოვრებისა”, ჟადოვის როლი პიესაში- “ფსკერზე”, არმან დიუვალის “მარგარიტა გოტიეში”, ერეკლესი-სუმბათაშვილის “ღალატში”, ნაპოლეონისა-სარდეს კომედიაში “მადამ სან-ჟენ” და მრავალი სხვა.

1920 წლიდან დავითაშვილი უკვე ქართულ თეატრშია-აკაკი ფაღავა ეძებდა ახალ ძალებს ქართული დასისათვის და ამ ძებნაში შეხვდა რუსულ თეატრში მომუშავე გიორგი დავითაშვილს. 1920 წლის შემოდგომაზე გიორგი დავითაშვილი გამოვიდა ქართულ სცენაზე. 1920 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ის რუსთაველის თეატრის მსახიობი იყო. იგი რუსთაველის თეატრში კიტე მარჯანიშვილის პერიოდის ყველა დადგმაში იღებდა მონაწილეობას. . ერისთავის –“გაყრა”, ხასინტა ბენავენტეს “ინტერესთა თამაში”, ჯონ სინგის “გმირი”, რნსტ ტოლერის “ კაცი მასა”, მოლიერის “გაახნაურებული მდაბიო”, სანდრო შანშიაშვილის “ჰერეტის გმირები”, ვერფელის “შპიგელმენშ”, შექსპირის “ ”ჰამლეტი”, გრ. რობაქიძის “ლამარა” და მთელი რიგი სხვა პიესებისა, სადაც გ. დავითაშვილი მთავარ ან წამყვან როლს თამაშობდა.

შემდეგი პერიოდი დიდ დროს მოიცავს, დაწყებული 1927 წლიდან. ვიდრე 1941 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში გ. დავითაშვილის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ხოზე-ლიპსკეროვის „კარმენსიტაში“, შტუბი, ლავრენიოვის „რღვევაში“, ზაად ბარათაშვილი-სანდრო შანშიაშვილის „არსენაში“, დიმიტრი გეგელია ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობაში“, თავადი დათა შაღვა დადიანის „ნაპერწკლიდან“-ში, ჩიბისოვი –პოგოდინის „თოფიან კაცში“,გარსია ლორკას როლი გ. მდივნის დრამაში „ალკამარი“.

1940 წ. გ. დავითაშვილმა შეასრულა შაჰ-აბასის როლი სანდრო შანშიაშვილის პიესაში “გიორგი სააკაძე”. 1941 წ. რუსთაველის თეატრში დაიდგა ვოლფის დრამა “ პროფესორი მამლოქი” სადაც გ. დავითაშვილმა მთავარი როლი ითამაშა. მის წლებში გ. დავითაშვილმა ბევრი ახალი როლი ითამაშა: მედოვსკი “კიკვიძეში”, ბეგლარი-“დავაში”, კარლო- “ფლანდრიაში”, ონისე- “ხევისბერი გოჩა”.

აღსანიშნავია გ. დავითაშვილის მოღვაწეობა ქართულ კინოშიც, რომლის კინო მსახიობური შემოქმედებაც ქართული კინოს ხნისაა. ირველი ფილმი იყო ივ

პერესტიანის “სურამის ციხე, სადაც მან ახალგაზრდა წერეთლის როლი ითამაშა. შემდეგ გ. დავითაშვილი მონაწილეობს ფილმში “განდევნილი”-სცენარი ეკუთვნის შალვა დადიანს, რეჟისორი-ბარსკი, ოპერატორი-დიდმელი. აღნიშნულ ფილმში ონოფრეს როლს ასრულებდა შალვა დადიანი, გელას-ალექსანდრე იმედაშვილი, ხოლო ონისეს გ. დავითაშვილი. მუნჯი კინოდ პერიოდში გ. დავითაშვილის აქტიურულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ფილმში “დინა ძაძუ” თათარხან დადუშკელიანის სახე და გრუშნიცკის სურათში “თავადის ასული მერი” გ. დავითაშვილმა ითამაშა კათალიკოსის როლი მ. ჭიაურელის “გიორგი სააკაძეში” და სულხან საბა ორბელიანის როლი თუმანიშვილის და სანიშვილის ფილმში “დავით გურამიშვილი”.

გ. დავითაშვილის თეატრალური როლებიდან აღსანიშნავია გლოსტერი-“მეფე ლირი”, ფრანც მოორი-“ყაჩაღები”, პლატონ კრეჩეტი-“პლატონ კრეჩეტი” და სხვა. . დავითაშვილს ბორის გოდუნოვის როლის განსახიერებისათვის მიენიჭა I ხარისხის სახელმწიფო პრემია; დაჯილდოებულია: ლენინის ორდენით (1950 წ.); “შრომის წითელი დროშის ორდენით” (1936 წ.). აქვს მედლები: “კავკასიის დაცვისთვის”(1944 წ.);

გ. დავითაშვილი გარდაიცვალა 1966 წ. 6 ივლისს.

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. გ. დავითაშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი. 1939 წ. 15 აგვისტო. დასტამბული. ხელნაწერი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.
2. რუსთაველის თეატრის სპექტაკლის, “უდანაშაულო დამნაშავენის” შესახებ გამართული თათბირის ოქმი. პირი: ლ. ესკია, პ. კანდელაკი, მ. გოგოლაშვილი, გ. ნუცუბიძე, ს. შანშიაშვილი, ს. მთვარაძე, აკ. ვასაძე, აკ. ხორავა, კ. პატარიძე, გ. დავითაშვილი, ირ. ამრეკელი, ი. ტუხუცია, დ. ალექსიძე, შ. წერეთელი, დ. თავაძე, დ. კასრაძე, ა. თევზაძე. 1938 წ. 25 სექტემბერი. ნაბეჭდი. 4 გვ.
3. გ. დავითაშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი. 1946 წ. 25 დეკემბერი. ასტამბული. ხელნაწერი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.
4. გ. დავითაშვილის შემოქმედებითი სადამოს სტენოგრამა. პირი: შ. დადიანი, შ. აფხაიძე, გ. ბუხნიკაშვილი, თ. ჭავჭავაძე, პ. კობახიძე, ეკ. სატინა, კ. ანდრონიკაშვილი, მ. კილოსანიძე, ნ. შანშიაშვილი, ი. მოსაშვილი, ერ. ქარელიშვილი, თ. ბაქრაძე, დ. ჩაფიძე, პ. მურღულია, ნ. კველიშვილი, ლ. ალექსი-მესხიშვილი, კრასოვი, ა. ტუგანოვი, ა. სუმბათაშვილი, კ. მარჯანიშვილი, ვ. მჭედლიშვილი, ვ. ანჯაფარიძე, ა. ვასაძე, შ. ღამბაშიძე, დ. ანთაძე, ა. ფალავა, ა. ხორავა, პ. ბახტურიძე, ს. შანშიაშვილი, კ. გოგოძე, ა. იმედაშვილი, ი. გურგულია, დ/ ჩხეიძე, დ. ესებუა. 1949 წ. 31 იანვარი. ნაბეჭდი. 38 გვ.
5. გ. დავითაშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი. 1958 წ. 4 თებერვალი. დასტამბული. ხელნაწერი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1ც.
6. გ. დავითაშვილის ავტობიოგრაფია. 1958 წ. 4 თებერვალი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
7. საქართველოს კულტურის მინისტრის, თ. ბუაჩიძის ოფიციალური წერილი საქ. კაცკ-ის მდივნის, დ. სტურუასადმი გ. დავითაშვილის იუბილეს მოწეობის შესახებ.

- 1963 წ. 4 მარტი. ნაბეჭდი. 2 გვ.
8. საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის ბრძანება გ. დავითაშვილის საიუბილეო საღამოს გამართვის შესახებ.
1963 წ. 8 მაისი. ხელნაწერი. მელანი. ასლი. 1 გვ.
 9. გ. დავითაშვილის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი იუბილეს მომწეობი რესპუბლიკური სხდომის ოქმი.
პირი: აკ. დვალიშვილი, დ. ანდლუღაძე, ს. ბერულავა, ს. თაყაიშვილი, ვ. კიკნაძე, დ. კიტია, მალ. მრეველიშვილი, პ. მურდულია, ვ. ტაბლიაშვილი, ნ. შვანგირაძე, დ. ჩხეიძე, მ. ხინიკაძე, აკ. ხორავა, თ. ჯანელიძე.
1963 წ. 13 მაისი. ნაბეჭდი. 2 ეგზ. 6 გვ.
 10. გ. დავითაშვილის ავტობიოგრაფია.
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
 11. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიერ გაცემული გ. დავითაშვილის დახასიათება
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
 12. გ. დავითაშვილის ავტობიოგრაფია.
უთარილო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 4 გვ.
 13. გ. დავითაშვილის განცხადება აკადემიური თეატრიდან მისი განთავისუფლების შესახებ.
უთარილო. ხელნაწერი. დაზიანებული. 1 გვ.
 14. გ. დავითაშვილის ავტობიოგრაფია.
უთარილო. ხელნაწერი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 3 ეგზ. 8 გვ.
 15. გ. დავითაშვილის სახელზე გაცემული ცნობა, რომ მუშაობს მსახიობად რუსთაველის სახელობის თეატრში.
უთარილო. დასტამბული. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 ც.
 16. გ. დავითაშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
უთარილო. დასტამბული. ხელნაწერი. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 ც.
 17. გ. დავითაშვილის მიერ 1921-1930 წ. წ. ნათამაშები როლების ნუსხა.
პირი: მ. ქორელი, აკ. ფაღავა, აღ. წუწუნავა, კ. ანდრონიკაშვილი, შ. დადიანი, ვ. შალიკაშვილი, კ. მარჯანიშვილი.
უთარილო. ხელნაწერი. ფანქარი, მელანი. 4 გვ.
 18. გ. დავითაშვილის სიტყვა შ. რუსთაველის 750 წ. იუბილეზე.
უთარილო. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
 19. გ. დავითაშვილის სიტყვა არჩევნებთან დაკავშირებით.
უთარილო. ხელნაწერი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 6 გვ.
 20. გ. დავითაშვილის სიტყვა ადგილობრივ სადეპუტატო არჩევნებთან დაკავშირებით.
უთარილო. ხელნაწერი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 4 გვ.
 21. გ. დავითაშვილის სიტყვა რუსთაველის თეატრისთვის ლენინის ორდენის გადაცემასთან დაკავშირებით.
უთარილო. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
 22. გ. დავითაშვილის სიტყვა საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით.
უთარილო. ხელნაწერი. ფანქარი. 3 გვ.